MES 8 21 0000753618

29/07/2021

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ.თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრ ები :

1. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N186 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ქეთევან ბოტკოველი -** სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის პედაგოგი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
4. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
5. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
6. **ზვიად გოგუაძე -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
7. **პერტე ბაბილუა -** შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
8. **ეკატერინე კვირიკაშვილი -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
9. **ლიანა კობესაშვილი -** შპს „ინტელექტი XXI - ის“ მასწავლებელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
10. **ზაქარია ქიტიაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი.
11. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი

სკოლის მმართველი - თეა დაშნიანი
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნატალია ბარათელი
სკოლის წარმომადგენელი - რუსუდან ბოლქვაძე
იურისტი - ნათია ქაჯაია

შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა

სკოლის დირექტორი - გიორგი მელაძე

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლა

სკოლის დირექტორი - ნინო ჭოხური

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი

ხათუნა ბარაბაძე
მარიამ ხუციშვილი

შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა

ნოდარ ანგურიძე
მაკა ტუკვაძე

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლა

ნატო გაბოშვილი
ლელა ფიცხელაური

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2021 წლის 15 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1.შპს ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი და დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.შპს ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და მარიან ხუციშვილმა. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.
ექსპერტის განცხადებით, სკოლაში მოსწავლეთა მიღების დროს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება წინა კლასების წარმატებით დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენას, ასევე, ირღვეოდა სკოლის შინაგანაწესის მე-18 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზრვრული მოთხოვნები, მობილობის დროს წარმოსადგენი დოკუმენტების შესახებ. ექსპერტის განმარტებით, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული კლასების შესაბამისი სავალდებულო საგნების დაძლევის პროცედურაც მიმდინარეობდა დარღვევით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში იკვეთებოდა შეუსაბამობა სკოლის დებულებით განსაზღვრულ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და შინაგანაწესით განსაზღვრულ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს შორის, ასევე, სკოლაში სათანადოდ არ მიმდინარეობდა შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის და მმართველის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალის წარმოება. მისი თქმით, დარღვეული იყო სკოლის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული რეკვიზიტების თანმიმდევრობა და შევსებისა და რიგითობის წესი, ხოლო მობილობის აღრიცხვის ჟურნალში მთელ რიგ შემთხვევებში არ იყო განმცხადებლის ვინაობა დაფიქსირებული.
სკოლის წარმომადგენელის განცხადებით, აღნიშნული რეკომენდაციები გაითვალისწინა სკოლამ და დასკვნის პროექტთან დაკავშირებით ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნული ხარვეზები გამოსწორებული იყო.
ამის შემდეგ, სკოლის იურისტმა განაგრძო საუბარი. მისი თქმით, სკოლის დებულებაში არ იყო აღწერილი დისციპლინური კომიტეტის შესახებ. რაც შეეხებოდა უფლებამოსილ ორგანოებს, ვის რომელი გადაცდომა უნდა განეხილა, ამასთან დაკავშირებით, მკაფიო ჩანაწერი არსებობდა დოკუმენტებში, სადაც ცალსახად იყო დაფიქსირებული, რომ სკოლის მმართველი განიხილავდა ადმინისტრაციული პერსონალის გადაცდომებს, ხოლო მასწავლებლების გადაცდომებს განიხილავდა დისციპლინური კომიტეტი. შემდეგ, სკოლის იურისტმა გააკეთა განმარტება, იმის შესახებ, თუ რატომ არ იყო დისციპლინური კომიტეტი სკოლის დებულებაში, მისი თქმით, ამჟამინდელი მდგომარეობით, სკოლას აღარ ჰყავდა დისციპლინური კომიტეტი, ცვლილება იყო შესული მარეგულირებელ დოკუმენტში და აღნიშნული კომიტეტის ნაცვლად, სრული პერსონალის დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი იყო მხოლოდ სკოლის მმართველი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ბოტკოველმა მიმართა სკოლის იურისტს კითხვით, რამდენად მართებული იყო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ დისციპლინური კომიტეტის სრული უფლებები დირექტორის დაკისრებოდა.
სკოლის იურისტის განცხადებით, გამჭირვალობასთან მიმართებით, გაცილებით სამართლიანი იქნებოდა, რომ კოლეგიური ორგანოს კომპეტენცია ყოფილიყო გადაცდომების საკითხის განხილვა, თუმცა, მან აღნიშნა, რომ კანონმდებლობა არ ზღუდავდა კერძო სამართლის სუბიექტს საკუთარი რეგულაცია შეემუშავებინა არ მიმართულებით.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 15:45 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიიჩნიეს, რომ სკოლის მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა - კოლეჯი პროგრესის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა - კოლეჯი პროგრესის (ს/კ: 405119394) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და მაკა ტუკვაძემ. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.
ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა პრეზენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამებთან და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, სადაც სრულად იყო აღწერილი აღნიშნული სტანდარტები. მისი განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობდა ძირითადად ქართულ ენაზე, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. მისი განმარტებით, სკოლა ახორციელებდა საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამას (IB - International Baccalaureate programme). პროგრამა ხორციელდებოდა სამივე

საფეხურზე: დაწყებითი საფეხურის პროგრამა – Primary Years Programme; საშუალო საფეხურის პროგრამა – Middle Years Programme; სადიპლომო პროგრამა – Diploma Programme.
ექსპერტის თქმით, საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) დაწყებითი საფეხურის და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდებოდა ქართულ ენაზე, ხოლო სადიპლომო პროგრამაზე სწავლება ინგლისურ ენაზე, სკოლის 1275 მოსწავლიდან აღნიშნულ პროგრამაში ჩართული იყო 108 მოსწავლე.
ექსპერტის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო ინკლუზიური განათლების პროგრამა. სკოლას ჰყავდა 9 სსსმ მოსწავლე, შემუშავებული და დამტკიცებული იყო მათი ინდივიდულური სასწავლო გეგმები. მისი თქმით, სკოლა ითვალისწინებდა შინ სწავლებას, როგორც სსსმ მოსწავლისთვის, ასევე ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაციის საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.
ექსპერტმა, ასევე ისაუბრა სასკოლო სასწავლო გეგმაზე, რომელიც პასუხობდა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევდა მათ, შეეძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. მისი თქმით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმდა სხვადასხვა კლასისის, სხვადასხვა საგნის სასწავლო პროგრამები, რომლებიც წარმოდგენილი იყო კურიკულუმებისა და თემატური მატრიცების სახით, თემატურ მატრიცებში მოცემული იყო სამიზნე ცნებები, თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, შესასრულებელი კომპლექსური დავალებები.
ექსპერტის განცხადებით, სკოლაში შექმნილი იყო მშობელთან ურთიერთობის სამსახური. სკოლაში მისული მშობელი სკოლასთან ურთიერთობას იწყებდა ამ სამსახურთან შეხვედრით. მისი განმარტებით, სკოლას შინაგანაწესში შემუშავებული ჰქონდა მასწავლებლის მშობელთან ურთიერთობის და ადმინისტარციის მშობელთან ურთიერთობის წესები. შემუშავებული იყო მშობელთან ურთიერთობის დებულებაც.
ამის შემდეგ, ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ, დეტალურად, პრეზენტაციის სახით წარუდგინა საბჭოს წევრებს სკოლის მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა მოთხვნილ სტანდარტს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 2000 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტებიც და მათ დაადასტურეს, რომ შეფასების შედეგად, სკოლის რესურსები აკმაყოფილებდა მათ მიერ სხდომაზე დაფიქსირებულ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:45 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:50 საათზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ნიუტონის თავისუფალ სკოლას (ს/კ: 216313727) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000 - ით.

3. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნატო გაბოშვილმა და ლელა ფიცხელაურმა. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა პროგრამული ნაწილის სტანდარტზე. მისი თქმით, სკოლას პროგრამული მიმართულებით ხარვეზი არ ჰქონდა. ძირითადად, სკოლა მოქმედებდა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის ფარგლებში. მისი განმარტებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ყოველი მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობა დაეწყო სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. მისი თქმით ასევე, მნიშვნელოვანი იყო სასკოლო სასწავლო გეგმა ყოფილიყო მეტად ორიენტირებული სკოლის მისიითა და სპეციფიკით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის გზებზე. ექსპერტის განცხადებით, პანდემიური პერიოდიდან გამომდინარე სასურველი იყო სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად გაიწერილიყო სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები.
ამის შემდეგ, ექპერტმა ნატო გაბოშვილმა გააგრძელა საუბარი სკოლის მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტზე.

მისი განმარტებით, მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ პატარა ქანდის საჯარო სკოლას სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემული ჰქონდა 4624 კვ,მ მიწის ფართი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით, რომლის საერთო ფართი იყო 500კვ,მ, რაც დასტურდებოდა საჯარო რეესტრის ამონაწერით. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ფართი აკმაყოფილებდა 220 მოსწავლეზე მოთხოვნილ ნორმას. მისი განმარტებით, 2020 წელს კერძო ინვესტორის მიერ განხორციელდა სკოლის შენობაზე მიშენება. ამჟამად სკოლის საერთო ფართი იყო 1068 კვ.მ., რომელიც ნოტარიულად დამოწმებული, იჯარის ხელშეკრულებით, 6 წლის ვადით უსასყიდლო სარგებლობით გადაცემული ჰქონდა სკოლას. ექსპერტის განცხადებით, საჯაროო რეესტრის ამონაწერში არ ფიქსირდებოდა მეიჯარე.

ასევე, ექსპერტის განმარტებით, სკოლის ყველა საკლასო ოთახი, აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით. ინვენტარი გათვლილი იყო 120 მოსწავლეზე. მისი თქმით, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, სადაც ის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართავდა დამატებით 100 მერხის მიწოდების თხოვნით. მისი შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის მე-10 საჯარო სკოლის ბალანსზე არსებული 100 მერხი უახლოეს დღეებში მიეწოდებოდა სკოლას. ასევე, სკოლამ დამატებით წარმოადგინა სასკოლო ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ 220 მოსწავლეზე მოთხოვნილ კვოტასთან მიმართებით ინვენტარის რაოდენობა თავსებადი იყო.

ამის შემდეგ, ექსპერტმა, მოკლედ გააცნო საბჭოს წევრებს დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა დაწესებულებას კითხვით, თუ რატომ იყო სკოლაში შექმნილი ოთხი კათედრა, ასევე, მას სურდა საკითხების დაზუსტება დასკვნაში დაფიქსურებულ სკოლის სახანძრო უსაფრთხოებასთან, ლაბორატორიასა და ექიმის კაბინეტთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებთან კომუნიკაციის შემდეგ გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც საჭიროებდა გამოსწორებას. აღნიშნული გარემოებების აღმოსაფხვრელად სკოლამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. სკოლის დირექტორის განმარტებით, კათედრების რაოდენობა გამომდინარეობდა მასწავლებელთა მცირერიცხოვნობით, კერძოდ, სკოლაში სულ 16 მასწავლებელი ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას. ექიმის კაბინეტი აღიჭურვა სრული კომპლექტაციით, სკოლამ აიყვანა ექიმი ხელშეკრულებით, რომელსაც ხელფასი დაენიშნა ამა წლის 1 ივნისიდან. ასევე, სკოლამ პარალელურ რეჟიმში მოითხოვა საშტატო ერთეულის დამატება და თანხმობა მიიღო, რის შემდეგაც დატკიცდა ექიმის შტატი. ლაბორატორიასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სპონსორის დახმარებით შეიძინეს ვირტუალური ლაბორატორია.

საბჭოს წევრებმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა და პერტე ბაბილუამ მიმართეს კითხვით დაწესებულებას, რამდენად შეძლებდა სკოლა მხოლოდ ვირტუალური ლაბორატორიით გაეყვანა მოსწავლეები საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლაბორატორიასთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი. მისი თქმით, ზემოაღნიშნულზე რიგი კონსულტაციები ჰქონდა გავლილი, რადგან თვითონაც წარმოადგენდა საჯარო სკოლის დირექტორს. საბჭოს თავმჯდომარის თქმით, მან მიწერა წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტორს (შემდგომში-სამინისრტო) და საგანმანათლებლო სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო), რომ მომხდარიყო იმ სკოლის, რომლის დირექტორსაც ის წარმოადგენდა, ვირტუალური ლაბორატორიით აღჭურვა. პასუხად სამინისტროდან და სააგენტოდან მიიღო შემდეგი შინაარსის წერილი, რომ მახასიათებლები, თუ რომელი სახის ლაბორატორიით უნდა მომხდარიყო სკოლის აღჭურვა, არ არსებობდა. საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, თუ კი,

სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი იტყოდა, ვირტუალურ ლაბორატორიაზე, რომ აღნიშნული მოემსახურებოდა და დააკმაყოფილებდა ეროვნული სასწავლო გეგმის, საგნობრივი სტანდარტების მიზნებს, მაშინ დარღვევად არ უნდა ჩათვლოდა სკოლას.
სკოლის დირექტორმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ფიზიკურად არსებული ლაბორატორიის ხელსაწყოებით და ასევე, ვირტუალური ლაბორატორიის მეშვეობით სკოლა შეძლებდა გაეყვანა მოსწავლეები შესაბამის შედეგებზე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილამ, მიმართა დაწესებულებას გამოეთქვათ მოსაზრება, სკოლის სტრატეგიულ გეგმასთან, სამოქმედო გეგმასთან და მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებით.
სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულება აპირებდა სასკოლო სასწავლო გეგმის მნიშვნელოვნად შეცვლას. მისი თქმით, ხარისხის განვითარების და მხარდაჭერის ჯგუფმა შეიმუშავა სასწავლო წლის შედეგების ფორმა, რომელიც წარმოდგენილი იყო საბჭოს წევრებთან. მისი განმარტებით, თავმოყრილი ინფორმაციის დამუშავება და შეჯერება მოხდებოდა ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შეთანხმდებოდა სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 220 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტებიც.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:15 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:30 საათზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, რომ 2 წლის ვადაში განხორციელებულიყო დაწესებულების მონიტორინგი. მონიტორინგის საფუძველზე უნდა შეფასებულიყო სკოლის მიერ იმ რეკომენდაციების შესრულება, რომელიც იქნა გაცემული ექსპერტების მიერ და ასევე, ის გარემოებები, რომლებიც გახდა მსჯელობის საგანი, საბჭოს წევრების მხრიდან.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლას (ს/კ: 236088292) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220 - ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:40 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოტკოველი ქეთევან